ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4382041

ნომერი: AR1661606

თარიღი : 18.02.2019

გაცემის თარიღი : 19.02.2019

გაცნობის თარიღი : 19.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 და სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18

თებერვალს №AR1661606 განცხადებით მომართა ირაკლი ჩირაძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, გივი კარტოზიას ქუჩა №10-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.16.004.194), მრავალფუნქციური კომპლექსის (ბლოკი -,,ა", ,,ბ" და ,,ც") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 18 თებერვლიდან 2019 წლის 18 მარტის ჩათვლით.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ 2019 წლის 05 თებერვლის №AR1659622 განცხადებაზე წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის მოქმედების ვადა სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებით უნდა განსაზღვრულიყო 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით, მაგრამ ტექნიკური შეცდომის გამო განისაზღვრა არასწორად, შესაბამისად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს აღნიშნული ხარვეზი სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებაში და ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 18 თებერვლიდან 2019 წლის 18 მარტის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითოს ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 18 თებერვლიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით''.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს, სასწავლო აუდიტორიების ფართობად 569.58 კვ.მ-ის ნაცვლად 545,28 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 7574.02 კვ.მ-ის ნაცვლად 7 557,12 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 94158.24 კვ.მ-ის ნაცვლად 94 117,04 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი 94 117,04 კვ.მ; სასწავლო აუდიტორიების ფართობი 545,28 კვ.მ; საზაფხულო ფართობი 7 557,12 კვ.მ.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 18 თებერვლიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 თებერვლის № 4360522 და სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379461 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge